## გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბანში სარწყავი წყლის ჭაბურღილში ტუმბოს სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვის მიზნით

## გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო კომისიის სხდომის

## ოქმი #2

NAT170005313

ქ. გორი 7 ივნისი 2017 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილის სამუშაო ოთახში.

**სატენდერო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:**

გელა კაპანაძე - კომისიის თავმჯდომარე, გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე;

რევაზ გოგიაშვილი - კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი;

ზვიად ანესაშვილი - კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.

მერაბ რაზმაძე - კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

ტარიელ მაისურაძე - კომისიის წევრი, გორის მუნიციაპლიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი.

**სატენდერო აპარატის შემადგენლობა:**

ალექსანდრე თარხნიშვილი - აპარატის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

**სატენდერო კომისიის სხდომას არ ესწრებოდა:**

ალექსი ვეშაპური - კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

**დღის წესრიგი:**

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბანში სარწყავი წყლის ჭაბურღილში ტუმბოს სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონული ტენდერში (აუქციონის გარეშე) **(NAT170005313)** პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენილი სატენდერო წინადადების განხილვა.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა ალექსანდრე თარხნიშვილმა სატენდერო კომისიას მოახსენა: დადგენილ ვადებში სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარმოდგენილი იქნა ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება:

| | |
|---|---|
| გიო | **25`420.00** |

სატენდერო კომისიისა და აპარატის წევრებმა ხელი მოაწერეს ოქმს ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ.

სატენდერო კომისიამ განიხილა პრეტენდენტის **შპს „გიო"-ს ს/კ 217873139** მიერ წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. განხილვის შედეგად დადგინდა, რომ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო კომისიის მიერ განსაზღვრულ პირობებს.

**კომისიამ დაადგინა:**

- **შპს „გიო"** გამოცხადდეს გამარჯვებულად და განესაზღვროს 5 სამუშაო დღე, ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოსადგენად:

  ა) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან იმის თაობაზე, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

  ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

- დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს უზრუნველყოს წინამდებარე ოქმის და წერილის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარე გელა კაპანაძე

კომისიის წევრები

რევაზ გოგიაშვილი

ზვიად ანესაშვილი

მერაბ რაზმაძე

ტარიელ მაისურაძე

# გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა

## ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

7 ივნისი 2017 წელი

ქ.გორი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2017 წლის 15 მაისს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) (NAT170005313) მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოების (CPV45200000) შესყიდვა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

კომისიის თავმჯდომარე — გელა კაპანაძე

კომისიის წევრები

რევაზ გოგიაშვილი

მერაბ რაზმაძე

ზვიად ანესაშვილი

ტარიელ მაისურაძე

ალექსანდრე თარხნიშვილი

კომისიის აპარატის წევრები: